**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტში რომანული ფილოლოგიის კათედრის (ესპანური ფილოლოგია) ასისტენტ პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („ბ" კატეგორია), რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასისტენტ პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („გ" კატეგორია), გერმანული ფილოლოგიის კათედრის (გერმანული ენა და თარგმანი) ასისტენტ პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („გ" კატეგორია) სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 27 მაისის ბრძანების №:128/01-01 საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 03.06.2024 №67/2024 დადგენილების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ.**

**№ 3 ოქმი (შემაჯამებელი)**

**ქ. თბილისი, 19 ივლისი, 2024 წ.**
**12.00 საათი, თსუ V კორპუსი, აუდიტორია № 229**

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან ხუთივე წევრი:

1. ბელა ხაბეიშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მარინე კობეშავიძე- თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. კონსტანტინე ბრეგაძე- თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. მარინა ანდრაზაშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. ქეთევან გალობერი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**დღის წესრიგი:**

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტში რომანული ფილოლოგიის კათედრის (ესპანური ფილოლოგია) ასისტენტ პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („ბ" კატეგორია), რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასისტენტ პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („გ" კატეგორია), გერმანული ფილოლოგიის კათედრის (გერმანული ენა და თარგმანი) ასისტენტ პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („გ" კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

**მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარის, **ბელა ხაბეიშვილის** ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტში გამოცხადებული საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა სამმა კანდიდატმა.

რომანული ფილოლოგიის კათედრის (ესპანური ფილოლოგია) ასისტენტ პროფესორის - 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ბ“ კატეგორია) საბუთები შემოიტანა კანდიდატმა - **ნინო ჭრიკიშვილმა.**

რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასისტენტ პროფესორის - 1 საკონკურსო თანამდებობაზე („გ“ კატეგორია) საბუთები შემოიტანა კანდიდატმა - **ნინო ქავთარაძემ.**

გერმანული ფილოლოგიის კათედრის (გერმანული ენა და თარგმანი) ასისტენტ პროფესორის - 1 საკონკურსო თანამდებობაზე („გ“ კატეგორია) საბუთები შემოიტანა კანდიდატმა - **თამარ ჭუმბურიძემ.**

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, სამი კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

**ნინო ჭრიკიშვილმა** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა იმსჯელა, თუ რა წვლილი შეიტანა დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. ისაუბრა, როგორც სამუშაო გამოცდილებაზე, ასევე სასწავლო პროცესში ჩართულობაზე. ხაზი გაუსვა მის აქტიურ როლს ისპანისტიკის მიმართულებით 2023-2024 წელს აკრედიტებლი პროგრამის შემუშავებაში. კანდიდატმა რეალისტურად შეაფასა ისპანისტიკის მიმართულებით ახალი პროგრამის ფუნქციონირების მოდელი. შეეხო სამომავლო პერსპექტივებს , რომლებიც უკავშირდება როგორც პედაგოგიურ (ახალი კურსების განხორციელება), ასევე სამეცნიერო აქტივობას. ამ უკანასკნელის მაგალითს წარმოდგენს მის მიერ ინიცირებული და განხორციელების ფაზაში მყოფი ესპანური ლიტერატურის ისტორიის პროექტი.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ნინო ჭრიკიშვილის კანდიდატურა სრულად შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიების მოთხოვნებს (იხ. ოქმი №2).

**ნინო ქავთარაძემ** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი № 1).

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატმა ისაუბრა რომანული ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში მუშაობის მოტივაციაზე, საავტორო სასწავლო კურსებზე. კერძოდ, შეეხო არჩევით სასწავლო კურსს „ფრანგული ზღაპარი" და მის ფარგლებში განხორციელბულ სტუდენტურ მთაგმნელობით პროექტს. დადასტურდა, რომ იგი წლების მანძილზე ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში. კითხულობს საგნებს, რომლებიც ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი. აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსების წაკითხვის გამოცდილება.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტების კანდიდატურა სრულად შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს (იხ. ოქმი № 2).

**თამარ ჭუმბურიძემ** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღეს შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღეს მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღეს მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტებმა მიიღეს მაღალი შეფასება (იხ. ოქმი № 1).

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია. აგრეთვე, აღსანიშნავია უახლესი გერმანული ლიტერატურის მიმართულებით სიახლეების დანერგვის პრაქტიკა, რაც ახალი სასწავლო კურსის შემუშავებასა და მის დანერგვაში მდგომარეობს. ცალსახაა, რომ კონკურსანტის სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტების კანდიდატურა სრულად შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს (იხ. ოქმი № 2).

გასაუბრების ეტაპის დასრულებისთანავე კომისიის წევრებმა ფარული კენჭისყრით დაადასტურეს საკუთარი პოზიცია ვაკანტურ თანამდებობებზე წარმოდგენილ კონკურსანტებთან მიმართებაში. ფარულ კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრებმა კენჯი უყარეს თითოეულ კანდიდატს.

რომანული ფილოლოგიის კათედრის (ესპანური ფილოლოგია) ასისტენტ პროფესორის გამოცხადებულ ვაკანსიაზე („ბ" კატეგორია) კენჭი უყარეს ნინო ჭრიკიშვილის კანდიდატურას.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი **ნინო ჭრიკიშვილის** კანდიდატურას.

რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასისტენტ პროფესორის - 1 გამოცხადებულ ვაკანსიაზე („გ" კატეგორია) კენჭი უყარეს ნინო ქავთარაძის კანდიდატურას.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი **ნინო ქავთარძის** კანდიდატურას.

გერმანული ფილოლოგიის კათედრის (გერმანული ენა და თარგმანი) ასისტენტ პროფესორის - 1 გამოცხადებულ ვაკანსიაზე („გ" კატეგორია) კენჭი უყარეს თამარ ჭუმბურიძის კანდიდატურას.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი **თამარ ჭუმბურიძის** კანდიდატურას.

**ერთხმად დაადგინეს:**

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტში რომანული ფილოლოგიის კათედრის (ესპანური ფილოლოგია)

ასისტენტ პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („ბ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **ნინო ჭრიკიშვილი;**

2. რომანული ფილოლოგიის კათედრის (ფრანგული ლიტერატურა) ასისტენტ პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („გ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **ნინო ქავთარაძე;**

3. გერმანული ფილოლოგიის კათედრის (გერმანული ენა და თარგმანი) ასისტენტ პროფესორის - 1 საშტატო ერთეული („გ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **თამარ ჭუმბურიძე.**

4. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: /პროფ. ბ. ხაბეიშვილი/

კომისიის მდივანი: /ასოც. პროფ. კ. ბრეგაძე/

კომისიის წევრები:

/ასოც. პროფ. მ. კობეშავიძე/

/ასოც. პროფ. მ. ანდრაზაშვილი/

/ასოც. პროფ. ქეთევან გალობერი/

თარიღი: 19. 07. 2024